საექსპერტო დასკვნა

საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს თბილსის ზღვის მიმდებარედ, კერძოდ

უცნობ გმირთა ქუჩა N 7 ს.კ. 01.12.21.001.357 მიწის ნაკვეთს სამხრეთით ესაზღვრება არსებული მაგისტრალური საავტომობილო გზა, დასავლეთით და ჩრდილოეთით კერძო მიწის ნაკვეთი, ანასთანვე, დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხარეს საპროექტო და მომიჯნავე ნაკვეთებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის თანახმად დადებულია საჯარო სერვიტუტები, სადაც იგიგმება საავტომობილო გზების მოწყობა.

შენობა არის მრავალფუნქციური. კერძოდ, იგი წარმოადგენს სავაჭრო ცენტრს, რომელიც შედგება სამი მიწისქვეშა და ერთი მიწისპირა სართულებისგან (-12,60-დან +/-0,000 ნიშნულის ჩათვლით) და საცხოვრებელ სამ ბლოკს, რომელიც შედგება 7 სართულისგან (+5,60-დან +27,70 ნიშნულის ჩათვლით)

საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია: "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის #255 დადგენილების საფუძველზე 13-ე მუხლის შესაბამისად მომზადებული არქიტექტურული პროექტი.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს აღნიშნული არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის #255 დადგენილების 21-ე მუხლის, მე-5 პუნქტის შესაბამისად.

1. შენიშვნები.

1. საპროექტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განემარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

2. ტერმინები და განმარტებები

1. **წესები** - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები
2. **შშმ** - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე
3. **ძირითადი ნაწილი**

1. დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება:

წესების მუ-3 თავის მიხედვით საპროექტო ობიექტისათვის და მისი ცალკეული ნაწილებისათვის განსაზღვრულია დაკავებულობები და დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორები **წესების** 1004.1.2 ცხრილის შესაბამისად.

- **სწ-2 (311.3)** სასაწყობო ჯგუფი, რომელიც **წესების** მიხედვით მოიცავს ავტოსადგომებს. ეს დაკავებულობა განლაგებულია -12.60 და -9.10 ნიშნულებზე. სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ავტოსადგომისთვის 18.6 მთლიანი.

- **სწ-2 (311.3)** სასაწყობო ჯგუფი, რომელიც **წესების** მიხედვით მოიცავს არა წვადი მასალის შესანახ სასაწყობო სივრცეებს. ეს დაკავებულობა განლაგებულია -12.60 -დან +27,70 ნიშნულის ჩათვლით. სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის საწყობის და დამხმარე ფართებისთვის 27,9 მთლიანი.

- **თვ-2 (303.3)** თავშეყრის ჯგუფი, რომელიც წესების მიხედვით მოიცავს „კვების ობიექტებს და მათ სამზარეულოებს“. ეს დაკავებულობა განლაგებულია +/-0.00 ნიშნულზე. სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 1.4 მთლიანი კვებისთვის განკუთვნილ დასაჯდომ ადგილებზე, ხოლო სამზარეულოებისთვის 18.6 მთლიანი.

- **თვ-3 (303.4)** თავშეყრის ჯგუფი, რომელიც წესების მიხედვით მოიცავს „რეცეფციას და დახურულ/ტრანსფორმირებად აუზს“ ეს დაკავებულობა განლაგებულია +5.60 ნიშნულზე. სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 4,7 მთლიანი.

- **სვ (309.1)** სავაჭრო ჯგუფი, რომელიც წესების მიხედვით მოიცავს „საცალო და საბითუმო მაღაზიებს“ ეს დაკავებულობა განლაგებულია -5.60 და +/-0.00 ნიშნულებზე სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 2.8 მთლიანი მიწისპირა სართულზე და მიწისქვედა სართულზე 5.6 მთლიანი .

- **სქ (304.1)** საქმიანი ჯგუფი, რომელიც წესების მიხედვით მოიცავს „პროფესიული მოსახურების სივრცეს და დაცვის ოთახს კამერების სამეთვალყურეოდ“ დაკავებულობები განლაგებულია +/-0.00 ნიშნულზე სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 9.3 სართულებზე მთლიანი .

- **სც-2 (310.4)** საცხოვრებელი ჯგუფი, რომელიც წესების მიხედვით მოიცავს „სასტუმროს ტიპის საცხოვრებელს“ დაკავებულობები განლაგებულია +7,90-დან +27,70 ნიშნულამდე. სართულებზე სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 18,6 მთლიანი .

2. კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

პროექტის კვლევის საფუძველზე შენობა-ნაგებობა განისაზღვრა **I-A ტიპის** კონსტრუქციად, რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის, სიმაღლისა და სართულის ფართობის მიხედვით და სავსებით აკმაყოფილებს **წესების** 503 ცხრილის მოთხოვნებს.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- შენობა განისაზღვრა I-A ტიპის კონსტრუქციად, ტიპიდან გამომდინარე მას არ აქვს სიმაღლისა და ფართობის შეზღუდვები. **წესების** 503 ქვეთავის მიხედვით ყველა დაკავებულობებისთვის სართულის ფართი, სართულიანობა და შენობის სიმაღლე შეუზღუდავია. წარმოდგენილი პროექტი სრულიად შეესაბამება **წესების** 503 ქვეთავის მოთხოვნებს.

- **წესების** 601 ცხრილის მიხედვით განისაზღვრა შენობის ელემენტებისთვის ცეცხლმედეგობის ხარისხი, რადგან შენობა რკინაბეტონის კონსტრუქციისაა, მისი ყველა ნაწილი, რომელიც განსაზღვრულია **წესების** 601 ცხრილში - 2 საათზე მეტი ცეცხლმედეგობისაა. შესაბამისად შენობის ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს **წესების** მოთხოვნებს.

- **წესების** 602 ცხრილით შეფასდა გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და შენობის ტიპის მიხედვით. რადგან ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი შენობის მთლიან პერიმეტრზე 9 მეტრზე მეტია - გარე კედლებს ცეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვებათ. გარე კედლები სრულად შეესაბამება **წესები**ს 601 ცხრილს.

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომის, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელის შეფასება:

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი და შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, შენობა შედგება ორი ფუნქციისგან: სავაჭრო ცენტრი და საცხოვრებელი ზონა. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით და წესების მე-10 თავის 1016.2 ცხრილის, 1021.2.4 ქვეთავის, 1021.2(1) და 1021.2(2) ცხრილებიდან გამომდინარე შენობის კომერციული ნაწილის თითოეულ სართულს ემსახურება მინიმუმ 5 გასასვლელის გზა-კიბე და გასასვლელის გზა-კარი, ხოლო შენობის საცხოვრებელი ნაწილის თითოეული ბლოკის თითოეულ სართულს ემსახურება მინიმუმ 2 გასასვლელის გზა-კიბე და გასასვლელის გზა-კარი, რომელთა 50% წესების მიხედვით გადის პირდაპირ გარეთ. შიგა გასასვლელის

გზა-კიბეები წესების 1009.3 ქვეთავის მოთხოვნებიდან გამომდინარე შემოზღუდულია ცეცხლმდეგი კედლებით, ცეცხლმდეგობის ხარისხი შეადგენს მინიმუმ 2 საათს. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი შენობის თითოეული შიგა გასასვლელის გზა-კიბე სრულდება შენობიდან გამოსასვლელი გზა-კარით და პირდაპირ უკავშირდება მიწის ნიშნულს, რაც აკმაყოფილებს წესების 1027 ქვეთავის მოთხოვნებს.

გასასვლელები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

მიწის დონის ქვედა სართულზე, -12.60 ნიშნულზე არსებულ დაკავებულობას (სწ-2) დაკავებულობის დატვირთვიდან (ჯამში 349 დამკავებელი ჯამში) და გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილიდან (90 მეტრი) ემსახურება 5 შიგა გასასვლელის გზა-კიბე.

მიწის დონის ქვედა სართულზე, -9.10 ნიშნულზე არსებულ დაკავებულობას (სწ-2) დაკავებულობის დატვირთვიდან (ჯამში 422 დამკავებელი ჯამში) და გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილიდან (81 მეტრი) ემსახურება 5 შიგა გასასვლელის გზა-კიბე.

მიწის დონის ქვედა სართულზე, -5.60 ნიშნულზე არსებულ დაკავებულობებს (სწ-2;სვ;სქ) დაკავებულობის დატვირთვიდან (ჯამში 971 დამკავებელი ჯამში) და გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილიდან (60 მეტრი) ემსახურება 5 შიგა გასასვლელის გზა-კიბე.

მიწის დონეზე არსებულ სართულზე, +/-0.00 ნიშნულზე არსებულ დაკავებულობებს (სწ-2; სვ; სქ და თვ-2) დაკავებულობის დატვირთვიდან (ჯამში 1609 დამკავებელი ჯამში) და გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილიდან (60 მეტრი) ემსახურება 7 შიგა გასასვლელის გზა-კიბე და 5 გასასვლელის გზა-კარი.

მიწისზედა სართულზე, +5,60 ნიშნულზე არსებულ დაკავებულობებს (თვ-3) დაკავებულობის დატვირთვიდან (ჯამში 295 დამკავებელი ჯამში) და გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილიდან (45,8 მეტრი) ემსახურება 5 შიგა გასასვლელის გზა-კიბე და 5 გასასვლელის გზა-კარი.

მიწისზედა სართულზე, +7,90 ნიშნულზე არსებულ დაკავებულობას (სც-2) დაკავებულობის დატვირთვიდან (ჯამში 56 დამკავებელი ჯამში) და გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილიდან (25 მეტრი) თითოეული ბლოკის თითოეულ სართულს ემსახურება 2 შიგა გასასვლელის გზა-კიბე.

მიწისზედა სართულზე, (+11,20-დან +27,70 ნიშნულის ჩათვლით) ნიშნულზე არსებულ დაკავებულობას (სც-2) დაკავებულობის დატვირთვიდან (ჯამში 137 დამკავებელი ჯამში) და გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილიდან (25 მეტრი) თითოეული ბლოკის თითოეულ სართულს ემსახურება 2 შიგა გასასვლელის გზა-კიბე.

<u>ზემოხსენებული აკმაყოფილებს წესებს. ყველა სართულზე გათვალისწინებულია 1015.2.1 ქვეთავის (2) გამონაკლისი, სადაც გასასვლელები ერთმანეთისგან დაშორებულია დიაგონალური სიგრძის ერთი მესამედი ნაწილით, საშხეფებით აღჭურვილ შენობაში.</u>

- **წესების 1014.3,** 1015.1და 1015.2.1 ქვეთავის მიხედვით თითოეულ სართულზე და თითოეულ კომერციულ ფართში დაცულია გასასვლელებს შორის მანძილები, სადაც გასასვლელამდე სავალი ამნძილი არ აღემატება დასაშვებ 23 მეტრს. ყველა სივრცეს სადაც დაკავებულობის დატვირთვა აღემატება 50 აქვს ორი გასასვლელი გზა-კარი, ხოლო რომლის დაკავებულობაც 501- ზე მეტია გააჩნია მინიმუმ სამი გასასვლელის გზა-კარი,სადაც 1000-ზე მეტია 4 გასასვლელი. არსებული გასასვლელები თითოეულ ფართში ერთმანეთისგან დაშორებულნი არიან დიაგონალური სიგრძის ერთი მესამედი ნაწილით საშხეფებით აღჭურვილ შენობაში.
- გზა-კიბეები დაგეგმარებულია წესები 1009 და 1022 ქვეთავების შესაბამისად.

- გათვალისწინებულია 1022.5 ქვეთავის მოთხვნა გაყვანილობებთან დაკავშირებით; შიგა გასასვლელის გზა-კიბეებს არ კვეთს ღიობები და გაყვანილობები, გარდა აუცილებელი გასასვლელი კარებისა, მოწყობილობებისა და გაყვანილობებისა, რომლებიც სჭირდება წნევის წარმომქმნელებს, საშხეფის მილსადენებს, სახანძრო მილდგარებს, სახანძრო განყოფილების საკომუნიკაციო სისტემის ელექტროგაყვანილობისათვის განკუთვნილ არხებსა და ელექტროგაყვანილობის არხებს, რომლებიც ემსახურება შიგა გასასვლელის გზა-კიბეებს.

  შენიშვნა: ასეთი გაყვანილობები დაცული უნდა იყოს 714-ე ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად. მომიჯნავე შიგა გასასვლელის გზა-კიბეებსა და პანდუსებს შორის არ უნდა არსებობდეს გაყვანილობები ან საკომუნიკაციო ღიობები.
- დაცულია გზა-კიბეებს შორის მანძილი, გათვალისწინებულია გზა-კიბის კარის მუშაობის პრინციპი, გასასვლელის კვამლ გაუმტარი შემომზღუდავები და ყველა სხვა კომპონენტი, რომელიც განსაზღვრულია წესების 403.5 ქვეთავში.
- გზა-კიბეები შემოზღუდულია წესების 707 ქვეთავის შესაბამისი ცეცხლმედეგი ზღუდით. ცეცხლმედეგობის ხარისხი 2 საათზე მეტია.
- +/-0.00 ნიშნულზე მდებარეობს შენობიდან გამოსასვლელები დაგეგმარებულია 1022.1 ქვეთავის მიხედვით. შიგა გასასვლელის გზა-კიბეები და პანდუსები, რომლებიც გასასვლელი საშუალებების სისტემაში გასასვლელის კომპონენტებია, უნდა მოეწყოს ამ ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად. შიგა გასასვლელის გზა-კიბეები და პანდუსები პირდაპირ შენობის გარეთ უნდა მიემართებოდეს ან შენობის გარე მხარემდე უნდა გაგრძელდეს 1023-ე ქვეთავის შესაბამისად .
- 1027.1 ქვეთავის პირველი გამონაკლისის მიხედვით, შიგა გასასვლელის გზა-კიბეებისა და პანდუსების მაქსიმუმ 50% დასაშვებია გადიოდეს შენობიდან გამოსასვლელის დონეზე მდებარე ფართობების გავლით, თუ დაცულია ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:
  - კიბიდან გამოსასვლელი გადის ჩაუხერგავ სავალ ბილიკზე რომელიც მიემართება გასასვლელებისაკენ რომელიც ადვილად შესამჩნევია და დაყენებულია შესაბამისი ნიშნები.
  - შენობიდან გამოსასვლელის დონეზე მთელი ფართობი ქვემოთ მდებარე ფართობებისაგან გამიჯნულია კონსტრუქციით, რომლის ცეცხლმედეგობის ხარისხი შეესაბამება შემომზღუდავისთვის განსაზღვრულ ცეცხლმედეგობის ხარისხს.
  - შენობიდან გამოსასვლელის დონეზე შიგა გასასვლელის გამავალი ბილიკი მთლიანად დაცულია ავტოსაშხეფი სისტემით. შენობიდან გამოსასვლელის დონის ყველა ნაწილი, რომლებიც მოიცავს გასასვლელ ბილიკთან მისადგომს, დაცულია 903.3.1.1 ან 903.3.1.2 ქვეთავების შესაბამისად დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემით.

- გათვალისწინებულია 1027 ქვეთავის მოთხოვნა გაასვლელებთან დაკავშირებით, სადაც

წესების 1027.1 ქვეთავის მიხედვით გასასვლელები გადის პირდაპირ შენობის გარეთ. შენობიდან გამოსასვლელი მდებარეობს მიწის დონეზე და უზრუნველყოფდეს მიწის დონესთან მისადგომს. შენობიდან გამოსასვლელები არ ბრუნდებიან შენობაში.

- **წესების 1022.4** ქვეთავის მიხედვით შიგა გასასვლელის გზა-კიბეებსა და პანდუსებზე უნდა იყოს მხოლოდ ისეთი ღიობები, რომლებიც განსხვავდება გარე დაუცველი ღიობებისგან და რომლებიც უზრუნველყოფს დაკავებული სივრცეებიიდან შემომზღუდავთან მისადგომს და შემომზღუდავიდან გამოსასვლელს. ასევე ლიფტები არ უნდა იღებოდეს შიგა გასასვლელის გზა-კიბეებისა და პანდუსებისკენ, რაც დაცული ყველა სართულზე
- გასასვლელი საშუალებები. შვეული და თარაზული გასასვლელისკენ სავალი უწყვეტი და ჩაუხერგავი გზა შენობის ან ნაგებობის ნებისმიერი დაკავებული ნაწილიდან საზოგადოებრივ გზამდე. გასასვლელი საშუალებები შედგება სამი განსხვავებული და დამოუკიდებელი ნაწილისგან: გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი და შენობიდან გამოსასვლელი.

- გასავლელი. გასასვლელთან მისადგომის შემოუზღუდავი კომპონენტი, რომლის საზღვრებშიც მოწყობილია გასასვლელისკენ სავალი ბილიკი.

- წესების 1009.2 ქვეთავის მიხედვით შიგა გასასვლელის გზა-კიბეები უნდა გადიოდეს პირდაპირ შენობის გარეთ ან უნდა გრძელდებოდეს შენობის გარე მხარემდე გასასვლელის გზა-დერეფნის საშუალებით, რომელიც აკმაყოფილებს 1023-ე ქვეთავის მოთხოვნებს, გარდა 1027.1 ქვეთავში ნებადართული შემთხვევისა.

- 1009.3.1.3 უწყვეტობა. გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბეების შემომზღუდავების უწყვეტობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს 707.5 ქვეთავში ცეცხლმედეგი ზღუდეებისთვის ან 711.4 ქვეთავში თარაზული ანაწყობებისთვის განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

- 1023.1 გასასვლელის გზა-დერეფანი. გასასვლელის გზა-დერეფნები, რომლებიც გასასვლელი საშუალებების სისტემაში გასასვლელის კომპონენტია, უნდა აკმაყოფილებდეს ამ ქვეთავის მოთხოვნებს. გასასვლელის გზა-დერეფანი არ უნდა გამოიყენებოდეს სხვა დანიშნულებით, გარდა გასასვლელი საშუალებისა.

- გასასვლელის გზა-დერეფანი. გასასვლელის ნაწილი, რომელიც შენობის ან ნაგებობის სხვა შიგა სივრცეებისგან გამოყოფილია ცეცხლმედეგობის ხარისხიანი კონსტრუქციით და ღიობის დამცავებით. იგი გამოყოფს დაცულ სავალ გზას თარაზული მიმართულებით შენობიდან გამოსასვლელის ან საზოგადოებრივი გზისკენ.

- წესების 1023.4 ქვეთავის მიხედვით შენობიდან გამოსასვლელის დონეზე მდებარე გასასვლელის გზა-დერეფნები უნდა სრულდებოდეს შენობიდან გამოსასვლელთან, სხვა დონეებზე მდებარე გასასვლელის გზა-დერეფნები კი - გასასვლელთან.

- საპროექტო შენობის კიბის და ლიფტის უჯრედები შემოსაზღვრულია რკინა ბეტონის კედლები და ბეტონის ბლოკის კედლებით (სისქე აღემატება 25 სმ), რომლის მინიმალური ცეცხლმედეგობა წესების 721.1 (2) ქვეთავის მიხედვით 4 საათს შეადგენს, აღნიშნული კედლების ღიობებში მოთავსებულია 90 წუთიანი ცეცხლმედეგი კარი.

- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორედ, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული წერტილის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს **წესების** 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს. არ აღემატება 75 მეტრს საშხეფებით აღჭურვილ შენობაში.

- **წესების** 1023.6 ქვეთავის მიხედვით გასასვლელის გზა-დერეფანს არ კვეთს ღიობები და გაყვანილობები, გარდა აუცილებელი გასასვლელის კარებისა, მოწყობილობებისა და გაყვანილობებისა, რომლებიც საჭიროა დამოუკიდებლად დაწნევისათვის, საშხეფის მილსადენების, სახანძრო მილდგარების, სახანძრო-სამაშველო დანაყოფის საკომუნიკაციო სისტემის ელექტროგაყვანილობისათვის განკუთვნილი არხებისა.

5. გზა-კიბეების და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება:

• ნაგებობაში პროექტით გათვალისწინებულია 7 (შვიდი) შიგა გასასვლელის გზა-კიბე. მათი სიგანეები არის 120 სანტიმეტრზე მეტი (1.23 მეტრი). რაც აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავების მოთხოვნებს.

- კიბეებზე სავალი ზედაპირის ღია მხრის გასწვრივ მოწყობილია მოაჯირი **წესების** 1013 ქვეთავის შესაბამისად, ხოლო კედლის მხარეს მოწყობილია სახელური **წესების** 1012 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.

- სწორედ არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს **წესების** 1009.7.2ქვეთავის მოთხოვნებს, ხოლო გზაკიბის ბაქნების ზომები შეესაბამება **წესების** 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

- სხვა გასასვლელი საშუალებები სწორედ არის დაგეგმარებული დერეფნის სიგანე აკმაყოფილებს **წესების** 1018.2 ქვეთავისა და 1005.3.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ყველა კარი (რაც გასასვლელი საშუალების ნაწილია) აკმაყოფილებს **წესების** 1008.11 ქვეთავის მოთხოვნებს.

- **წესების** 1006.1 ქვეთავის მიხედვით გასასვლელი საშუალებები ყოველთვის უნდა იყოს განათებული, როდესაც შენობის სივრცე (რომელსაც ეს გასასვლელი საშუალებები ემსახურება) დაკავებულია.

- **წესების** 1006.2 ქვეთავის მიხედვით გასასვლელი საშუალებების განათებულობა სავალი ზედაპირის დონესთან 11 ლუქსზე ნაკლები არ უნდა იყოს.

- **წესების** 1006.3 ქვეთავის მიხედვით გასასვლელი საშუალებების განათებულობას დენით შენობა-ნაგებობის ელექტრომომარაგება უზრუნველყოფილია სახურავზე არასებული მზის პანელებით. დენის გათიშვისას, სათადარიგო ელექტროსისტემამ ავტომატურად უნდა გაანათოს ქვემოთ ჩამოთვლილი ფართობები:

    1. გასავლელები და გასასვლელის შემოუზღუდავი გზა-კიბეები ისეთ ოთახებსა და სივრცეებში, რომელთაც ორი ან მეტი გასასვლელი საშუალება სჭირდება;
    2. დერეფნები, შიგა გასასვლელის გზა-კიბეები, პანდუსები და გასასვლელის გზადერეფნები შენობებში, რომელთაც ორი ან მეტი გასასვლელი სჭირდება;
    3. გარეთ გასასვლელის კომპონენტები, რომლებიც არ მდებარეობს შენობიდან გამოსასვლელის დონეებზე, თუ შენობიდან გამოსასვლელი არაა მოწყობილი შენობებში, რომელთაც ორი ან ორზე მეტი გასასვლელი სჭირდება;
    4. 1027.1 ქვეთავით ნებადართული შიგნიდან გარეთ გასასვლელის კომპონენტები, რომელთაც ორი ან ორზე მეტი გასასვლელი სჭირდება;
    5. 1008.1.6 ქვეთავის თანახმად აუცილებელი გარე ბაქნები შენობიდან გამოსასვლელის გზა-კარებისთვის შენობებში, რომელთაც ორი ან ორზე მეტი გასასვლელი სჭირდება.

    სათადარიგო ელექტრომომარაგების სისტემა დენით მომარაგებას უნდა უზრუნველყოფდეს, არანაკლებ, 90 წუთის განმავლობაში და უნდა შედგებოდეს აკუმულატორების ან ავტონომიური გენერატორისგან. არსებულ შემთხვევაში გათვალისწინებული გვაქვს მზის პანელებით ელექტრომომარაგება.

- **წესების** 1006.3.1 განათებულობის დონე საგანგებო ელექტრომომარაგების დროს. საგანგებო ვითარებისას გასანათებელი მოწყობილობები უნდა უზრუნველყოფდეს საშუალოდ 11 ლუქს განათებულობას და გასასვლელის გზის გასწვრივ იატაკის დონეზე ნებისმიერ წერტილში, სულ მცირე, 1 ლუქსს. განათებულობა შეიძლება შემცირდეს 6 ლუქსამდე, ხოლო საგანგებო ვითარების დასრულებამდე ნებისმიერ წერტილში, სულ მცირე, 0,6 ლუქსამდე. განათებულობის მაქსიმალური და მინიმალური თანაფარდობა 40:1-ს არ უნდა აღემატებოდეს.

6. მისაწვდომობის შეფასება:

- საპროექტო შენობა-ნაგებობების ოთხი შესასვლელი ადაპტირებულია შშმ პირთათვის. ყველა შესასვლელი მდებარეობს მიწის დონეზე. საიდანაც მოხვედრა შეიძლება ლიფტებთან მათი საშუალებით შშმ პირს შეუძლია მოხვედრა ყველა სართულზე.

- სწორადაა განსაზღვრული მისაწვდომი სვლაგეზი. ყველა კარი რომელიც გასასვლელი საშუალების ნაწილია არის მისაწვდომი.

- ყველა კარი, ყველა დერეფანი და ყველა სივრცე არის მისაწვდომი. პროექტი სრულად აკმაყოფილებს **წესების** 11 თავის მოთხოვნებს.

- ლიფტებში დაყენებულია დაწნევის სისტემა **წესების** 713.14.1 ქვეთავის გამონაკლისი ნის მიხედვით,
- პარკირების ტერიტორიაზე მოწყობილია **წესების** 1106.1 ცხრილის მიხედვით მისაწვდომი ავტოსადგომების საჭირო რაოდენობა.

- ნაგებობა სრულად აკმაყოფილებს **წესების** მე-11 თავის მოთხოვნებს.

- ნაგებობაში შესასვლელების 50%-ზე მეტი **წესების** 1105.1 ქვეთავის მიხედვით არის მისაწვდომი.

- **წესების** 1104 ქვეთავის მიხედვით სწორადაა განსაზღვრული მისაწვდომი სვლაგეზი

- თავშესაფრის ფართობი. ფართობი, სადაც სათანადო მითითებების მიღებამდე ან ევაკუაციამდე დროებით შეუძლიათ გაჩერება იმ ადამიანებს, რომელთაც არ ძალუძთ გზაკიბეების გამოყენება.

- 1007.6 თავშესაფრის ფართობები. ყველა აუცილებელ თავშესაფრის ფართობს უნდა ჰქონდეს მისაწვდომი გასასვლელი საშუალებები იმ სივრციდან, რომელსაც ის ემსახურება. მაქსიმალური სავალი მანძილი ნებისმიერი მისაწვდომი სივრციდან თავშესაფრის ფართობამდე არ უნდა აღემატებოდეს 1016.1 ქვეთავში დაკავებულობისთვის განსაზღვრულ სავალ მანძილს. ყველა აუცილებელი თავშესაფრის ფართობი უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს 1007.3 ქვეთავის შესაბამისად მოწყობილ გზა-კიბეს ან 1007.4 ქვეთავის შესაბამისად დაყენებულ ლიფტს. თუ თავშესაფრის ფართობად გამოყენებულია ლიფტის ფოიე, შახტი და ფოიე უნდა აკმაყოფილებდეს 1022.10 ქვეთავში კვამლგაუმტარი შემომზღუდავებისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ლიფტები მდებარეობს თარაზული გასასვლელით ან კვამლგაუმტარი ზღუდით შექმნილ თავშესაფრის ფართობზე.

7. ლიფტების შეფასება:

- ნაგებობაში მოწყობილია ორი მისაწვდომი ლიფტი წესების 1109.7 1007.2.1 ქვეთავების მოთხოვნით, რომელიც მოსახერხებელია უნარშეზღუდულთა გადაადგილებისათვის და 1-ით აღემატება მოთხოვნილს.

- საპროექტო შენობაში განლაგებულია 7 ლიფტი, აქედან 6 ლიფტი აკავშირებს -12.60 ნიშნულიდან +27,70 ნიშნულამდე არსებულ ფართებს, 1 ტექნიკური ლიფტი აკავშირებს -12.60 ნიშნულიდან +/-0.00 ნიშნულამდე არსებულ სასაწყობო ფართებს.

- ლიფტების დაგეგმარებისას გამოყენებულია **წესების** 1007.4 ქვეთავის მოთხოვნები. ის აკმაყოფილებს საავარიო რეჟიმთან და განგაშის მოწყობილობებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს ASME A117-ის მიხედვით

- ლიფტების კაბინის ზომები, სადაც შესაძლებელია საკაცის შეტანა განსაზღვრულია წესების 1702.4 ქვეთავის მიხედვით. ისეა დაგეგმარებული რომ შესაძლებელია მათში 2,15 X 0,6 ზომის საკაცის შეტანა.

- ლიფტის შახტის საჰაეროების დაგეგმარება და ფართობი შეესაბამება **წესების** 1704.3 ქვეთავის მოთხოვნას.

8. გარე კედლისადმი მოთხოვნების შეფასება:

საპროექტო ნაგებობების გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს. კერძოდ:

- ფასადიდან ნაშვერების ზომა აკმაყოფილებს **წესების** 705.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო, არამზიდი კედლები და ტიხრები შიდა, იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს **წესების** 601 ცხრილის მოთხოვნებს.

- დაცულია 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნები, მომიჯნავე სართულების ღიობების ერთმანეთისგან შვეულ დაშორებებთან მიმართებაში.

- გარე არამზიდი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს **წესების** 602 ცხრილის მოთხოვნებს.

- გარე კედლის ღიობის მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები და ღიობის დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია 705 ქვეთავის მიხედვით და აკმაყოფილებს 705.8 ცხრილის მოთხოვნებს, შემდეგი სქემით:

- გარე კედლების ანაწყობი, გამოყენებული მასალები და მოპირკეთების ხარისხი აკმაყოფილებს **წესების** 14 თავის მოთხოვნებს

9. სახურავის ანაწყობის შეფასება:

• სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები განსაზღვრულია **წესების** 601 ცხრილის მიხედვით. შენობის **I-A** კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე საჭიროებს სახურავის 1 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს, საპროექტო ნაგებობის სახურავს წარმოადგენს რკინაბეტონის ფილა რომელსაც აქვს 1 საათზე მეტი ცეცხლმედეგობის ხარისხი.

• სახურავის ფილის ზედაპირზე განლაგებულია არა წვადი (ქვაბამბის) თბოსაიზოლაციო ფენილი, ქვიშა ცემენტის მოჭიმვა და ჰიდროსაიზოლაციო ფენილი. სახურავის ანაწყობი **წესების** 15 თავის მოთხოვნების შესაბამისადაა დაგეგმარებული და აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას.

• სახურავს ზემოთ მდებარეობს ლიფტის სამანქანე ნაგებობა, რომელსაც უკავშირდება შიდა გასასვლელის გზა-კიბეები. სახურავს ზედა ნაგებობები აკმაყოფილებს **წესების** 1509 ქვეთავის მოთხოვნებს.

• სახურავი **წესებთან** შესაბამისადაა დაგეგმარებული და აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას.

10. ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნილი გამოჯვნების შეფასება:

საპროექტო შენობის თითოეული ნაწილი ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული წესების 508 და 708.2 ქვეთავის შესაბამისად. პროექტში წარმოდგენილია 6 (ექვსი) შერეული დაკავებულობა: სწ-2, თვ-3; თვ2; სვ, სც-2 და სქ ჯგუფების დაკავებულობების სახით.

სწ-2 ჯგუფის (შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი, სატუმბი დანადგარების და მექანიკური მოწყობილობების ოთახები, წყლის რეზერვუარი -12.60; -9.10 და -5.60 ნიშნულებზე) გამიჯნულია ერთმანეთისგან ორსაათიანი ხანძარმედეგი ტიხრით.

სვ ჯგუფის დაკავებულობა. მფლობელობაში არსებული კომერციული ფართობები -5.60 და +/- 0,000 ნიშნულებზე გამიჯნულია ერთმანეთისგან ორსაათიანი ხანძარმედეგი ტიხრით, რომელიც აკმაყოფილებს 708 ქვეთავში მოთხოვნილ 1 საათიან ცეცხლმედეგობას (ცეცხლმედეგი ორმაგი თაბაშირმუყაო, რომელსაც შუაში აქვს ქვა-ბამბა). ხანძარმედეგობის აღმნიშვნელი ხაზები დატანილია გეგმებზე. ასევე სვ დაკავებულობა გამიჯნულია მის გვერდით მდებარე თვ-2 დაკავებულობისგან ხანძარმედეგი 2 საათიანი ტიხრით 708.2 ქვეთავის შესაბამისად ,ასევე თარაზული ანაწყობით 508 ქვეთავის, სამზარეულოების მხარეს.

სქ ჯგუფის ადმინისტრაციული სივრცეები +/- 0,000 ნიშნულზე როგორც სქ დაკავებულობას ,ასევე სხვა დაკავებულობებისგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე თარაზული ანაწყობით, რაც შეესაბამება წესების 508.4 ცხრილის მოთხოვნებს.

სც-2 ჯგუფის საცხოვრებელი ერთეულები (+7,90-დან +27,70 ნიშნულის ჩათვლით) ნიშნულზე როგორც სქ დაკავებულობას ,ასევე სხვა დაკავებულობებისგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე თარაზული ანაწყობით, რაც შეესაბამება წესების 508.4 ცხრილის მოთხოვნებს.

კედლების, ტიხრებისა და თარაზული ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების 721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებული მასალა შეესაბამება წესების მოთხოვნებს .

11. ხანძრისგან დაცვის სისტემის შეფასება:

- წესების 903 ქვეთავის მოთხოვნის საფუძველზე შენობა სრულად აღჭურვილია წესების 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისი ავტოსაშხეფი სისტემით. ავტოსაშხეფი სისტემის მონტაჟი უნდა მოხდეს NFPA 13 - ის მიხედვით.

- ნაგებობაში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრები **წესების** 906.1 ქვეპუნქტის მიხედვით და განაწილებულია **906.3(1)** ცხრილის შესაბამისად. პორტატული ცეცხლსაქრობები უნდა შეირჩეს და მოეწყოს **906.2** ქვეთავისა და **NFPA 10** - ის მოთხოვნების შესაბამისად.

- **წესების** 905.1 ქვეთავის მიხედვით დერეფანში მოწყობილია სახანძრო მილდგარების მისაერთებლები, რომლებიც უნდა დაყენდეს NFPA 14 - ის მოთხოვნების შესაბამისად.

- **წესების** 907.2.9.2 ქვეთავის მოთხოვნის მიხედვით UL 217-ის შესაბამისი კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის ერთი და მრავალბლოკიანი მოწყობილობები უნდა დაყენდეს 907.2.11.1 - 907.2.11.4 ქვეთავებისა და NFPA 72-ის მიხედვით.

- საპროექტო ტერიტორიის სამ. დასავლეთის გზასთან მოწყობილია **წესების** 912 ქვეთავის შესაბამისი სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი ორი მისაერთებელი, რომელიც განთავსებულია NFPA სტანდარტების შესაბამისად და აკმაყოფილებს **წესების** 912.2 – 912.5 ქვეთავის მოთხოვნებს.

- სახანძრო განგაშის სისტემა უნდა დააყენონ დაკავებულობებში, სადაც მდებარეობს კვამლაღმომჩენებით აღჭურვილი ორზე მეტი სართულის დამაკავშირებელი ატრიუმები. სისტემა უნდა აქტიურდებოდეს 907.5 ქვეთავის შესაბამისად. ასეთი დაკავებულობები თვ, სგ ან **სვ** ჯგუფებში უნდა აღიჭურვოს საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემით, რომელიც აკმაყოფილებს 907.5.2.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- მიუხედავად იმისა რომ საპროექტო ტერიტორიაზე ატრიუმი არ არის ღია 2 სართულზე მეტად, მაინც გათვალისწინებულია კვამლის საკონტროლო სისტემები ყველა დაკაცებულობასა და დერეფნებში. **წესების** 907.2.14 შესაბამისად. გათვალისწინებულია სახანძრო განგაშის ხმოვანი და საკომუნიკაციო სისტემები.

- საპროექტო შენობა აღჭურვილია წესების 402.7.4 ქვეთავის შესაბამისი სათადარიგო ელ. მომარაგებით.

- **წესების** 909.11 ქვეთვის მიხედვით კვამლის საკონტროლო სისტემას ელექტროენერგია ორი წყაროდან უნდა მიეწოდებოდეს. ელექტროენერგიის მთავარი წყარო უნდა იყოს შენობის ელექტრომომარაგების სისტემა, დამატებითი კი - სათადარიგო კვების წყარო. ოთახი შემოზღუდული უნდა იყოს 707-ე ქვეთავის შესაბამისად აგებული ცეცხლმედეგი ზღუდეებით ან 711-ე ქვეთავის შესაბამისად აგებული თარაზული ანაწყობებით, ან ორივეთი ერთად, რომელთა ცეცხლმედეგობა, არანაკლებ, 1 საათია. სათადარიგო კვების წყაროზე გადართვა ავტომატურად უნდა ხდებოდეს ელექტრომომარაგების მთავარი სისტემის გათიშვიდან 60 წამის განმავლობაში, რასაც უზრუნველყოფს სახურავზე განთავსებული მზის პანელები.

- **წესების** 904.11 ქვეთავის მიხედვით მოწყობილიაკომერციული სამზარეულოების სისტემები. კომერციული სამზარეულო სისტემების ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემის ტიპი უნდა შეესაბამებოდეს კომერციული სამზარეულო მოწყობილობისა და გამწოვი სისტემების დამცავების ტიპს. ასაწყობ-დასაშლელი ავტომატური მშრალი-და-სველი ქიმიური ცეცხლსაქრობი სისტმები უნდა შემოწმდეს UL 300-ის შესაბამისად, აღინუსხოს და ეტიკეტირებული იყოს დანიშნულებისდა მიხედვით. ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემების სხვა ტიპები აღრიცხული და ეტიკეტირებულ უნდა იყოს, როგორც კომერციული კულნარიული საქმიანობისთვის განკუთვნილი სპეციალური დამცავები. სისტემა უნდა მოეწყოს წესების, მისი ნუსხის პირობებისა და მწარმოებლის მითითებების შესაბამისად. ქვემოთ ჩამოთვლილი ტიპის ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები შესაბამისი მითითებული სტანდარტების მიხედვით უნდა მოეწყოს:

  1. ნახშირორჟანგის შემცველი ცეცხლსაქრობი სისტემები, NFPA 12.
  2. ავტოსაშხეფი სისტემები, NFPA 13.
  3. ქაფისა და წყლის შემცველი საშხეფი სისტემები ან ქაფისა და წყლის შემცველი შესასხურებელი სისტემები, NFPA 16.
  4. მშრალი ქიმიური ცეცხლსაქრობი სისტემები, NFPA 17.
  5. წყლიანი ქიმიური ცეცხლსაქრობი სისტემები, NFPA 17A.

12. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

- წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობის რაოდენობა შეესაბამება **წესების** ცხრილის 1602.1 მოთხოვნებს.
- ნაგებობების -12.60 და -9.10 ნიშნულებზე. არსებულ ავტოსადგომებს **წესების** 1602.3-ის გამონაკლისის მიხედვით არ ესაჭიროება ტუალეტი
- სავაჭრო-კომერციულ სართულებზე მოწყობილია საჭირო რაოდენობაზე მეტი ტუალეტები (**წესების** 1602.1 ცხრილი) **იხ.ანგარიშების ცხრილი.**

13. ავტოსადგომების შეფასება:

ნაგებობაში მოწყობილია ავტოსადგომები, რომლებიც **წესების** დაცვითაა დაგეგმარებული და აკმაყოფილებს მის ყველა მოთხოვნას.

- ავტოსადგომის შიდა სივრცეში განლაგებულ დახურულ ავტოსადგომებს, ემსახურება ცალმხრივი საავტომობილო გზები, რომლის სიგანე არის 3.5 მეტრი. აკმაყოფილებს **წესების** 406.9.4.1 ქვეთავის

- ავტოსადგომის შიდა სივრცეში მოწყობილია ორმხრივი საავტომობილო პანდუსი, რომლის სიგანე არის 6 მეტრი. შესაბამისობაშია **წესების** 406.9.4.1 მოთხოვნებთან.
- საავტომობილო გზებისა და მოხვევის რადიუსებზე დატანილია ზომები. აკმაყოფილებს **წესების** 406.9.4.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ავტოსადგომების ზომები, განლაგებისა და გასასვლელების მიმართ მოთხოვნები განსაზღვრულია **წესების** 406.9.4.3.1 ცხრილის მიხედვით და აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს.

- **წესების** 406.9.2.4 ქვეთავის მიხედვით მოწყობილია მისაწვდომი ავტოსადგომები, რომლებიც დაგეგმარებულია ICC A117.1-ის ნორმების მიხედვით.

საავტომობილო პანდუსები დაგეგმარებულია წესების 406.9.4.4 ქვეთავის მოთხოვნების მიხედვით, სადაც არსებული პროექტის მიხედვით ავტოსადგომის საავტომობილო გზის ან პანდუსის ქანობი12.15%-ია და დასაშვებ 16%-ს არ აღემატება. საავტომობილო გზის ან პანდუსის 12%-დან 16%-მდე დახრის შემთხვევაში, საავტომობილო გზის ან პანდუსისა და თარაზული სავალი ზედაპირის შეხების ადგილიდან, სულ მცირე, 3,5 მეტრ მანძილზე საავტომობილო გზის ან პანდუსის ქანობი უნდა იყოს 8%-დან 10%-მდე, გათვალისწინებულია 10%. ხოლო საავტომობილო გზის ან პანდუსის თარაზულ სავალ ზედაპირზე წრიული გადასვლისას, წრის რადიუსი, სულ მცირე 20 მეტრი უნდა იყოს, რათა არ მოხდეს ავტომობილის გადაადგილებისას მისი დაზიანება. არსებულ შემთხვევაში არ გვაქვს წრიული მოძრაობა.

- ავტოსადგომი უზრუნველყოფილი უნდა იყოს **წესების** 1106.1 ცხრილის შესაბამისი მისაწვდომი სივრცეებით.

დასკვნა

ქალაქი თბილისი, უცნობ გმირთა ქ N 7 ს.კ. 01.12.21.001.357 მდებარე მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი სრულად შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან - „შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები“. დოკუმენტაცია აკმაყოფილებს წესებს და მოიცავს არქიტექტურული პროექტისათვის ყველა საჭირო ინფორმაციას.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: გიორგი გურგენიძე



საქართველო

IDENTITY CARD

GEO

სახელი / FIRST NAME
გიორგი
GEORGE

გვარი / LAST NAME
გურგენიძე
GURGENIDZE

მოქ. / CIT GEO | სქესი / SEX მმ / M | პირადი No / PERSONAL No 01024055103

დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH 16.01.1971

მოქმედების ვადა / DATE OF EXPIRY 19.12.2028

ხელმოწერა / SIGNATURE

ბარათის No / CARD No 18IC29842



საქართველო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ა. ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
უმაღლესი განათლების
დამადასტურებელი დიპლომი

TSAA № 000465

თბილისის ა. ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის

არქიტექტურის

ფაკულტეტის 1995 წლის 30.06 გადაწყვეტილებით,

გიორგი გურგენიძეს დაბადებულმა

1971 წლის 16.01 დასრულა უმაღლესი საგანმანათლებლო

პროგრამის სრული კურსი და მას მიენიჭა

არქიტექტორის

კვალიფიკაცია.

ფაკულტეტის დეკანი

რექტორი

გაცემის თარიღი 20 08. 16.06

საარქივო № 5393

ქ. თბილისი

GEORGIA

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
A. KUTATELADZE TBILISI STATE
ACADEMY OF ART
HIGHER EDUCATION
DIPLOMA

TSAA № 000465

This is to certify that by the decision of 30.06.1995

of the Architecture faculty

of the A. KUTATELADZE TBILISI STATE ACADEMY OF ART

Mr./Ms. George Gurgenidze, born on

16.01.1971 after completion the full course of the educational

programme was awarded the qualification of

an Architect

Dean of the Faculty

Rector

ISSUED ON 16.06.2008

REGISTRATION No. 5393

City TBILISI

სამუშაო გამოცდილება	
	• 2015-დან დღემდე - შპს "Green Project" - დამფუძნებელი, **არქიტექტორი** • 2003 - 2005 - შპს "აქსისი" - **არქიტექტორი** • 1999 – 2003 - შპს "ამა" - **არქიტექტორი**. • 1995 – 1999- საპროექტო ინსტიტუტი "თბილზნიეპი" **არქიტექტორი**

შ.პ.ს. "გრინ პროჯექტ"

ქ. თბილისი 2 ივნისი 2023 წ.

ც ნ ო ბ ა

გაცნობებთ, რომ შპს "გრინ პროჯექტ" (ს/კ 405130969) დაარსდა 2015 წლის 30 დეკემბერს, მისი დამფუძნებელია და ასევე დაარსების დღიდან დღემდე არქიტექტორის პოზიციაზე მუშაობს გიორგი გურგენიძე პ/ნ 01024055103.

შპს “გრინ პროჯექტ”-ს დირექტორი:

/თეიმურაზ გურგენიძე/